



KA020141964622512



## საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ბრძანება

№ 1-1/939

04 / აპრილი / 2012 წ.

მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის  
მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს  
კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

### ვბრძანებ:

1. განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების  
სამინისტროს მიერ წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების  
მოსაკრებლის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის შემდეგი მინიმალური ოდენობა:

ა) A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი – 500 (ხუთასი) ფურცლამდე;

ბ) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდილი ასლი – 1000 (ათასი) ფურცლამდე.

2. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში საქართველოს  
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო ინფორმაციის  
ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი საკუთარი ინიციატივით ან  
ფიზიკური პირის შუამდგომლობის საფუძველზე, პირის სოციალური მდგომარეობის  
გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების  
მოსაკრებლის გადახდის გარეშე ერთჯერადად გასაცემი საჯარო ინფორმაციის ოდენობის  
შესახებ.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი

ვერა ქობალია